# კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ

მიღებულია ლტოლვილთა და აპატრიდთა სტატუსის საკითხზე სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციის მიერ, 1951 წლის 28 ივლისს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის 429 (V) რეზოლუციის საფუძველზე.
ძალაშია: 1954 წლის 22 აპრილიდან 43-ე მუხლის შესაბამისად.

## პრეამბულა

## მაღალი ხელშემკვრელი მხარეები

მხედველობაში იღებენ, რა, რომ გაერთიანებული ერების წესდებამ და 1948 წლის 10 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დააწესეს პრინციპი, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანი უნდა სარგებლობდეს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებულ ერებს -არაერთხელ გამოუხატავს თავისი ღრმა დაინტერესება ლტოლვილთა ბედით და ძალას არ ზოგავდა რათა უზრუნველეყო ლტოლვილთათვის აღნიშნული ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით რაც შეიძლება ფართო სარგებლობა,

მხედველობაში იღებენ რა, რომ სასურველია გადაისინჯოს და გაერთიანდეს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ადრე დადებული საერთაშორისო შეთანხმებები და გაფართოვდეს ამ ხელშეკრულებათა გამოყენების სფერო და სათანადო დაცვა ახალი შეთანხმების მეშვეობით,

მხედველობაში იღებენ რა, რომ თავშესაფრის მინიჭების უფლებამ შეიძლება ზოგიერთ ქვეყანას დააკისროს უსაზომო ტვირთი და რომ იმ პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა, რომლის საერთაშორისო მასშტაბი და ხასიათი აღიარებულია გაერთიანებული ერების მიერ, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე,

გამოთქვამენ რა სურვილს, რომ ყველა სახელმწიფო, რომელიც აღიარებს ლტოლვილთა პრობლემების ჰუმანიტარულ და სოციალურ ხასიათს, ყველა ღონეს იხმარს სახელმწიფოებს შორის ამ პრობლემის გამო უთანხმოების თავიდან ასაცილებლად,

აღნიშნავენ რა, რომ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს ევალება ლტოლვილთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციების შესრულებაზე მეთვალყურეობა და აღიარებენ რა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მიღებულ ღონისძიებათა კოორდინაციის ეფექტურობა დამოკიდებულია უმაღლეს კომისართან სახელმწიფოების თანამშრომლობაზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

# თავი I
# ზოგადი დებულებები

## მუხლი 1
## "ლტოლვილის" ცნების განსაზღვრება

A)ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება "ლტოლვილი" ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც:
1)მიიჩნეოდა ლტოლვილად 1926 წლის 12 მაისისა და 1928 წლის 30 ივნისის ან 1933 წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 10 თებერვლის კონვენციებით, 1939 წლის 14 სექტემბრის ოქმით ან ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით;
ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის პერიოდში მიღებული დადგენილებები სტატუსზე არაუფლებამოსილების შესახებ ხელს არ შეუშლის იმას, რომ ლტოლვილის სტატუსი მიენიჭოს იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს;
2)1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელ ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.
იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მცნების "მისი მოქალაქეობის ქვეყანა" ნიშნავს ნებისმიერ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეც ის არის და ასეთი პირი არ ითვლება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობას მოკლებულად, თუ საფუძვლიანი შიშიდან გამომდინარე, ყოველგვარი დასაბუთებული მიზეზის გარეშე იგი მფარველობისათვის არ მიმართავს ერთ-ერთ იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეც ის არის.
**BB**)1.ამ კონვენციის მიზნებისათვის პირველი მუხლის A ნაწილში სიტყვები: "1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენები" აღნიშნავს:
ა)"ევროპაში 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენებს"; ან
ბ)"ევროპაში ან სხვა ადგილებში 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარ მოვლენებს"; და ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში მიუთითებს სახელდობრ რომელ დასახელებულ მნიშვნელობას უჭერს მხარს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებაში:
2)ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც მიიღო
ა) ალტერნატიული მნიშვნელობა, ნებისმიერ დროს შეუძლია
ბ) ალტერნატიული მნიშვნელობის მიღებით გააფართოვოს ნაკისრი ვალდებულების მოცულობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით.
C)ამ კონვენციის დებულებები აღარ ვრცელდება A ნაწილის მიერ განსაზღვრულ პირზე, თუ:
1)ნებაყოფლობით კვლავ ისარგებლა თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით; ან
2)დაკარგა რა თავისი მოქალაქეობა, კვლავ ნებაყოფლობით შეიძინა იგი; ან
3)შეიძინა ახალი მოქალაქეობა და სარგებლობს თავისი ახალი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით; ან
4)ნებაყოფლობით კვლავ დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც მან დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იგი იმყოფებოდა დევნის შიშის გამო; ან
5)უარი ვეღარ თქვა მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე, რამდენადაც გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად იყო ცნობილი, აღარ არსებობს;

ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ ლტოლვილზე, რომლებიც ექცევიან ამავე მუხლის A ნაწილის პირველი პუნქტის ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ადრინდელი დევნიდან გამომდინარე დასაბუთებული მოტივაცია თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობაზე უარის სათქმელად.

6)არის რა მოქალაქეობის არმქონე პირი, შეუძლია დაბრუნდეს თავის ადრინდელ საცხოვრებელ ქვეყანაში, რადგან გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად იყო ცნობილი, აღარ არსებობს.

ამ პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებიც ექცევიან ამავე მუხლის A ნაწილის პირველი პუნქტის ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ადრინდელი დევნიდან გამომდინარე დასაბუთებული მოტივაცია თავიანთ ადრინდელ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნებაზე უარის სათქმელად.

D)ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც ამჟამად სარგებლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების ან დაწესებულებების დაცვით ან დახმარებით, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისარიატისა.

თუკი ასეთი დაცვა რაიმე მიზეზით იქნა შეწყვეტილი მანამდე, ვიდრე ამ პირთა მდგომარეობა საბოლოოდ მოგვარდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციების შესაბამისად, ეს პირები ამ კონვენციის რეჟიმით *ipso facto* სარგებლობენ.

E)ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც მათი ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება, ცნობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

F)ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მან:

ა)ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად;

ბ)ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მანამ,, სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული;

გ)ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედობათა ჩადენაში.

## მუხლი 2
## ზოგადი ვალდებულებები

ყველა ლტოლვილი ვალდებულია დაემორჩილოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიღებულ ზომებს.

## მუხლი 3
## დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ხელშემკვრელი მხარეები ამ კონვენციის დებულებებს გამოიყენებენ ლტოლვილთა მიმართ რასის, რელიგიის თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

## მუხლი 4
## რელიგიური მრწამსი

ხელშემკვრელი მხარეები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ლტოლვილებს თავისი რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა და ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების მხრივ სულ ცოტა ისეთსავე კეთილსასურველ გარემოს შეუქმნიან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს.

## მუხლი 5
## ამ კონვენციისაგან დამოუკიდებლად მინიჭებული უფლებები

ამ კონვენციაში არაფერი არღვევს იმ უფლებებსა და შეღავათებს, რომლებიც ლტოლვილებს ამ კონვენციისაგან დამოუკიდებლად მიანიჭა რომელიმე ხელშემკვრელმა სახელმწიფომ.

## მუხლი 6
## ცნება "იმავე გარემოებებში"

ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება "იმავე გარემოებებში" ნიშნავს, რომ ლტოლვილი უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერ მოთხოვნას (იმ მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც ეხება ქვეყანაში ყოფნის ან ცხოვრების ვადას და პირობებს), რომელსაც იგი ლტოლვილად არყოფნის შემთხვევაში დააკმაყოფილებდა შესაბამისი უფლებით სარგებლობისათვის, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაკმაყოფილებაც მათი ხასიათიდან გამომდინარე, ლტოლვილს არ ძალუძს.

## მუხლი 7
## გამონაკლისი ნაცვალგების პრინციპიდან

1)იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ლტოლვილებს ამ კონვენციის საფუძველზე უფრო კეთილსასურველი უფლებრივი მდგომარეობა ექმნებათ, ხელშემკვრელი სახელმწიფო მათ შეუქმნის იმავე გარემოს, რომლითაც საზოგადოდ სარგებლობენ უცხოელები.
2)ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ცხოვრების სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ყველა ლტოლვილი გათავისუფლდება საკანონმდებლო გზით დადგენილი ნაცვალგების მოთხოვნისაგან.
3)ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო კვლავაც მიანიჭებს ლტოლვილებს იმ უფლებებსა და შეღავათებს, რომლის უფლებაც ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე გააჩნდა მათ სახელმწიფოს ამ კონვენციის ძალაში შესვლისას
4)ხელშემკვრელი მხარეები კეთილგანწყობით მოეკიდებიან ლტოლვილთათვის, ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე, უფლებისა და შეღავათების შესაძლებელ მინიჭებას, იმათ გარდა, რაზედაც უფლებამოსილნი არიან მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად და ნაცვალგების მოთხოვნისაგან იმ ლტოლვილთა შესაძლებელ გათავისუფლებას, რომლებიც მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს არ აკმაყოფილებენ.
5)მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები ვრცელდება როგორც ამ კონვენციის მე-13, მე-18, მე-19, 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებულ, ისე კონვენციით გაუთვალისწინებელ უფლებებსა და შეღავათებს.

## მუხლი 8
## გამონაკლისის განსაკუთრებული ღონისძიებებიდან გამოყენებისგან გათავისუფლება

განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის, უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საკუთრების ან ინტერესების წინააღმდეგ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ არ იქნება გამოყენებული იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ფორმალურად ამ სახელმწიფოს მოქალაქეა, მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე.

## მუხლი 9
## დროებითი ღონისძიებები

ამ კონვენციაში ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვერაფერი შეუშლის ხელს ომის დროს ან სხვა საგანგებო და განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას მიიღოს დროებითი ზომები, რომლებიც მას სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად მიაჩნია ამა თუ იმ პირის მიმართ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ იმის გამორკვევამდე, რომ იგი ნამდვილად ლტოლვილია და რომ შემდგომში აუცილებელია მის მიმართ აღნიშნული ზომების გამოყენება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

## მუხლი 10
## ბინადრობის უწყვეტობა

1)თუ ლტოლვილი დეპორტირებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს და გაიგზავნა და ცხოვრობს ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთი იძულებით ყოფნის პერიოდი განიხილება როგორც ამ ტერიტორიაზე კანონიერი ცხოვრება.
2)თუ ლტოლვილი მეორე მსოფლიო ომის დროს იყო დეპორტირებული ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან და ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე დაბრუნდა მუდმივად დამკვიდრების მიზნით, მაშინ დეპორტაციამდელი და მისი შემდგომი ცხოვრების პერიოდი განიხილება როგორც ერთი უწყვეტი პერიოდი ყველა იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ბინადრობის უწყვეტობა.

## მუხლი 11
## ლტოლვილი მეზღვაურები

თუ ლტოლვილები არიან პირები, რომლებიც რეგულარულად მსახურობენ ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს დროშით მცურავი გემების ეკიპაჟებში, მაშინ ეს სახელმწიფო კეთილგანწყობით მოეკიდება ამ პირთა თავის ტერიტორიაზე დასახლებასა და მათთვის სამგზავრო საბუთების გაცემას ან მათთვის მის ტერიტორიაზე შესვლის დროებითი უფლების მიცემას, რომელიმე სხვა ქვეყანაში მათი დასახლების ხელშეწყობის მიზნით.

# თავი II
# სამართლებრივი სტატუსი

## მუხლი 12
## პირადი სტატუსი

1)ლტოლვილის პირადი სტატუსი განისაზღვრება მისი საცხოვრებელი ქვეყნის კანონებით, თუ მას ასეთი არ გააჩნია, მისი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონებით.
2)ლტოლვილის მიერ ადრე შეძენილი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მის პირად სტატუსთან, კერძოდ, ქორწინებიდან გამომდინარე უფლებები დაცული იქნება, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მისი კანონმდებლობით დადგენილ ფორმალობათა შესრულებისას იმ პირობით, რომ ეს უფლება ერთ-ერთი იმ უფლებათაგანია, რომლებიც აღიარებული იქნებოდა ამ სახელმწიფოს კანონებით პირი ლტოლვილიც რომ არ გამხდარიყო.

## მუხლი 13
## უძრავ-მოძრავი ქონება

უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის, მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების, საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების მიმართ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ლტოლვილებს შეუქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ან იმაზე არანაკლებს, ვიდრე იმავე ვითარებაში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

## მუხლი 14
## საავტორო უფლებები და სამრეწველო საკუთრება

სამრეწველო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, როგორიცაა: გამოგონებათა, დიზაინისა და მოდელების, სავაჭრო მარკების, საფირმო სახელწოდების უფლება, ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებზე უფლება, ლტოლვილები მათ ადრინდელ საცხოვრებელ ქვეყანაში ისევე იქნებიან დაცული, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები. ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისინი ისევე იქნებიან დაცული, როგორც იმ ქვეყნის მოქალაქეები.

## მუხლი 15
## გაერთიანების უფლება

ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს არაპოლიტიკური და არამომგებიანი ხასიათის ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების მიმართ ისეთსავე ხელსაყრელ გარემოს შეუქმნიან, რომლითაც იმავე ვითარებაში უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ.

## მუხლი 16
## სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

1)ყველა ლტოლვილს ააქვს ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სასამართლოებისათვის თავისუფალი მიმართვის უფლება.
2)ყველა ლტოლვილი ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილია, მისი მოქალაქეობის მსგავსი მდგომარეობით ისარგებლებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების, კერძოდ, იურიდიული დახმარებისა და სასამართლო ხარჯების დაფარვისაგან განთავისუფლების საკითხებში.
3)ყველა ლტოლვილს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, გარდა მისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნისა, მე-2 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში ექმნება იგივე გარემო, როგორიც აქვთ მისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის მოქალაქეებს.

# თავი III
# შემოსავლის მომტანი საქმიანობა

## მუხლი 17
## დაქირავებული შრომა

1)ხელშემკვრელი მხარეები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს დაქირავებულ შრომაზე უფლების საკითხში უქმნიან ყველაზე უფრო ხელსაყრელ გარემოს, რომლითაც იმავე პირობებში სარგებლობენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები.
2)ნებისმიერ შემთხვევაში, შრომის შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, ის შემზღუდავი ღონისძიებები დადგენილი უცხოელების ან უცხოელთა დაქირავებისათვის, არ იქნება გამოყენებული იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებზეც ეს ზომები არ ვრცელდებოდა შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დროს ან რომლებიც აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
ა)ქვეყნის ფარგლებში ცხოვრობენ არანაკლებ სამი წლისა;
ბ)რომელთა მეუღლეებსაც აქვთ ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეობა. ლტოლვილს არ შეუძლია ისარგებლოს ამ დებულებით, თუ მან მიატოვა მეუღლე;
ც)რომელთა ერთი ან რამდენიმე შვილი ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქეა.
3)ხელშემკვრელი მხარეები კეთილგანწყობით ეკიდებიან ყველა ლტოლვილის უფლებას დაქირავებული შრომის საკითხში გაუთანაბრდეს მოქალაქეებს, კერძოდ, იმ ლტოლვილთა უფლებებს, რომლებიც შევიდნენ მათ ტერიტორიაზე სამუშაო ძალის დაქირავების პროგრამის შესრულების წესით ან იმიგრაციის გეგმების თანახმად.

## მუხლი 18
## თვითდასაქმება

ხელშემკვრელი მხარეები თავის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე არანაკლებს, რომლითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები მსგავს პირობებში სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ხელოსნობასა და ვაჭრობაში დამოუკიდებლად მონაწილეობენ და აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობების დაფუძნების უფლების საკითხში.

## მუხლი 19
## თავისუფალი პროფესიები

1)ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს, რომელთაც აქვთ ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ აღიარებული დიპლომი და სურთ დასაქმებული იყვნენ თავისუფალი პროფესიები, უქმნის მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.
2)ხელშემკვრელი სახელმწიფო მათი კანონებითა და კონსტიტუციით დაშვებულ ყველა ზომას მიმართავს, ასეთ ლტოლვილთა განსახლების მეტროპოლიის გარეშე ტერიტორიებზე უზრუნველსაყოფად, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც პასუხისმგებლობას ისინი კისრულობენ.

# თავი IV
# სოციალური უზრუნველყოფა

## მუხლი 20
## საულუფო სისტემა

იქ სადაც არსებობს მთელი მოსახლეობისათვის განკუთვნილი საულუფო სისტემა, რომელიც არეგულირებს დეფიციტური პროდუქტების საერთო განაწილებას, ასეთი სისტემა მოქალაქეებთან თანასწორობის პრინციპით გამოიყენება ლტოლვილების მიმართ.

## მუხლი 21
## დაბინავება

იმდენად, რამდენადაც დაბინავება კანონმდებლობით რეგულირდება ან საჯარო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

## მუხლი 22
## საჯარო განათლება

1)ხელშემკვრელი სახელმწიფოები დაწყებითი განათლების საკითხში ლტოლვილებს უქმნიან მოქალაქეების მსგავს უფლებრივ მდგომარეობას.
2)დაწყებითის გარდა საჯარო განათლების სხვა ფორმების, კერძოდ, სწავლაზე ხელმისაწვდომობის, უცხოური ატესტატების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის, სწავლის გადასახადისა და მოსაკრებლისაგან გათავისუფლების, აგრეთვე სტიპენდიების მინიჭებასთან მიმართებით ხელშემკვრელი სახელმწიფოები ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს და ყოველ შემთხვევაში, იმაზე არანაკლებს ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

## მუხლი 23
## სახელმწიფო შემწეობა

ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს სახელმწიფო შემწეობისა და დახმარების სახით, ისეთსავე გარემოს უქმნიან, როგორითაც სარგებლობენ მათი მოქალაქეები.

## მუხლი 24
## შრომის კანონმდებლობა და სოციალური დაცვა

ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს ისეთსავე გარემოს უქმნიან, როგორითაც სარგებლობენ მათი მოქალაქეები, კერძოდ, შემდეგ საკითხებში:
ა)შრომის ანაზღაურება ოჯახზე გაცემული დახმარების ჩათვლით, თუ ასეთი დახმარება შრომის ანაზღაურების ნაწილია, ნორმის ზევით მუშაობა, კუთვნილი შვებულება, შინ მუშაობის შეზღუდვა, დაქირავებით მომუშავე პირთა მინიმალური ასაკი, შეგირდობა და პროფესიული მომზადება, ქალთა და მოზარდთა შრომა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა უპირატესობით სარგებლობა – იმდენად რამდენადაც ეს საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით ან ექვემდებარება ადმინისტრაციული ხელისუფლების კონტროლს.
ბ)სოციალური დაცვა (სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეხება უბედურ შემთხვევებს სამუშაოზე, პროფესიულ დაავადებებს, დედობას, ავადმყოფობას, ინვალიდობას, მოხუცებულობას, გარდაცვალებას, უმუშევრობას, ვალდებულებებს ოჯახის წინაშე და სხვა შემთხვევებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად სოციალური დაცვის სისტემით არის გათვალისწინებული) შემდეგი შეზღუდვებით:
i)შეძლება არსებობდეს შეძენილი უფლებათა და შეძენის პროცესში მყოფ უფლებათა დაცვის სათანადო წესი;

ii)ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს მთლიანი ან ნაწილობრივი დახმარების მიღების სპეციალური პროცედურა, რომელიც მთლიანად სახელმწიფო სახსრებიდან გაიცემა და იმ დახმარებისა, რომელიც ეძლევა პირებს, რომლებმაც ვერ შეასრულეს ნორმალური პენსიის მისაღებად საჭირო შესატანებისთვის დადგენილი ყველა პირობა.
2)სამუშაოზე უბედური შემთხვევისა თუ პროფესიული დაავადების შედეგად ლტოლვილის გარდაცვალების გამო კომპენსაციის უფლებაზე გავლენას არ მოახდენს ის გარემოება, რომ მოსარგებლე პირი არ ცხოვრობს ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
3)ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეძენილ უფლებათა და შეძენის პროცესში მყოფ უფლებათა განხორციელების თაობაზე მათ შორის დადებულ ან დასადები ხელშეკრულებების საფუძველზე, ლტოლვილებს უწევენ დახმარებას სოციალური დაცვის სფეროში, რომელიც გამოიყენება ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ.
4)ხელშემკვრელი სახელმწიფოები კეთილგანწყობით მოეკიდებიან, შესაძლებლობის ფარგლებში, ლტოლვილებისათვის მსგავსი შეთანხმებებიდან გამომდინარე იმ უპირატესობების მინიჭების საკითხს, რომლებიც ყოველ მოცემულ მომენტში ძალაშია ხელშემკვრელ და არახელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის.

## თავი V
## ადმინისტრაციული ღონისძიებები

### მუხლი 25
### ადმინისტრაციული დახმარება

1)იმ შემთხვევაში, როცა ლტოლვილის მიერ მისი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა მოითხოვს იმ უცხო სახელმწიფოს დახმარებას, რომელსაც ეს ლტოლვილი ვერ მიმართავს, ამ ლტოლვილის ადგილსამყოფელი ხელშემკვრელი სახელმწიფო, მიიღებს ყველა ზომას, მოცემული ქვეყნის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანოს მიერ მისთვის დახმარების აღმოსაჩენად.
2)პირველ პუნქტში აღნიშნული ხელისუფლების ორგანო ან ორგანოები ლტოლვილებს თვითონ ან თავიანთი ზედამხედველობის ქვეშ უზრუნველყოფენ იმ საბუთებითა და მოწმობებით, რომლებიც უცხოელებს ჩვეულებრივ ეძლევათ ხელისუფლების ორგანოების ან მათი მოქალაქეობის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა მიერ.
3)ამგვარი წესით გაცემული საბუთები ან მოწმობები ცვლიან ხელისუფლების ორგანოების ან მათი მოქალაქეობის სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ უცხოელებზე გაცემულ ოფიციალურ საბუთებს, რომლებიც იურიდიული ძალის მქონეა, სანამ არ დამტკიცდება, რომ ისინი ძალადაკარგულია.
4)ხელმოკლე პირებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული შეღავათების გარდა ამ მუხლში აღნიშნულ მომსახურეობისათვის შეიძლება საფასურის გადახდევინება, მაგრამ ასეთი საფასური უნდა იყოს ზომიერი და საკუთარი მოქალაქეებისათვის ანალოგიურ მომსახურეობაზე დადგენილის შესაბამისი.
5)ამ მუხლის დებულებები არ ვრცელდება 27-ე და 28-ე მუხლების დებულებებზე.

### მუხლი 26
### გადაადგილების თავისუფლება

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებს მისცემს საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და მის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებას, იმავე პირობებით, რომლებსაც მსგავს შემთხვევებში ჩვეულებრივ იყენებენ უცხოელთა მიმართ.

### მუხლი 27
### პირადობის დამადასტურებელი საბუთები

ხელშემკვრელი სახელმწიფოები გასცემენ პირადობის დამადასტურებელი საბუთებს, მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებზე, რომელთაც არ გააჩნიათ მოქმედი სამგზავრო საბუთები.

## მუხლი 28
## სამგზავრო საბუთები

1) ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ლტოლვილებზე გასცემენ მათი ტერიტორიის გარეთ გადაადგილებისათვის საჭირო სამგზავრო საბუთებს, მაშინ, როცა არ არსებობს სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ანგარიშგასაწევი მიზეზები, ასეთი საბუთების მიმართ გამოიყენება ამ კონვენციაზე თანდართული წესები. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი სამგზავრო საბუთები მისცენ მათ ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ სხვა ლტოლვილს; კერძოდ, ისინი კეთილგანწყობით მოეკიდებიან მსგავსი სამგზავრო საბუთების გაცემას მათ ტერიტორიაზე მყოფი იმ ლტოლვილებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მიიღონ სამგზავრო საბუთები იმ ქვეყანაში, სადაც კანონიერად ცხოვრობენ.
2) ადრინდელი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ამ შეთანხმებათა მონაწილეების მიერ ლტოლვილზე გაცემულ სამგზავრო საბუთებს, ხელშემკვრელი მხარეები ზუსტად ისევე განიხილავენ, როგორც, ამ მუხლის საფუძველზე გაცემულს.

## მუხლი 29
## გადასახდელები

1) ხელშემკვრელი სახელმწიფოები ლტოლვილებს არ დაბეგრავენ რაიმე ბაჟით, მოსაკრებლით და გადასახადით, რომელიც განსხვავდება ან აღემატება მსგავს პირობებში საკუთარი მოქალაქეებისათვის დადგენილს.
2) წინა პუნქტის დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ლტოლვილთა მიმართ კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც უცხოელთათვის ადმინისტრაციული საბუთების, მათ შორის, პირადობის მოწმობის გაცემისათვის დადგენილ მოსაკრებელს ეხება.

## მუხლი 30
## ქონების გადაცემა

1) ხელშემკვრელი სახელმწიფო მისი კანონმდებლობის შესაბამისად ნებას რთავს ლტოლვილებს გადაიტანონ მის ტერიტორიაზე შემოტანილი ქონება სხვა ქვეყანაში, სადაც მათ დასასახლებლად შესვლის უფლება მიეცათ.
2) ხელშემკვრელი სახელმწიფო კეთილგანწყობით მოეკიდება ლტოლვილთა შუამდგომლობებს გაიტანონ ქონება იმ ქვეყნებში, სადაც მათ მიეცათ შესვლის უფლება, იმისდა მიუხედავად, თუ სად ინახება იგი.

## მუხლი 31
## თავშესაფარის მიმცემ ქვეყანაში უკანონოდ მყოფი ლტოლვილები

1) ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ დასჯიან მათ ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლის ან ყოფნისათვის ლტოლვილებს, რომლებიც შემოვიდნენ უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას პირველი მუხლით გათვალისწინებული საშიშროება ემუქრებოდა, უნებართვოდ იმყოფებიან ამ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე – იმ პირობით, რომ ასეთი ლტოლვილები დაუყოვნებლივ თავად გამოცხადდებიან ხელისუფლების ორგანოებში და სათანადო განმარტებებს წარადგენენ თავისი უკანონო შემოსვლის ან ყოფნის შესახებ.

2)ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს გადაადგილების თავისუფლებაში არ შეავიწროონ ისეთი შეზღუდვებით, რაც აუცილებლობით არ არის გამოწვეული და ასეთი შეზღუდვები გამოიყენება იქამდე, ვიდრე მოცემულ ქვეყანაში არ მოწესრიგდება ასეთ ლტოლვილთა სტატუსი ან სანამ ისინი არ მიიღებენ სხვა ქვეყანაში შესვლის უფლებას. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს მისცემენ საკმაო ვადას და ყველა საჭირო პირობას შეუქმნიან სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მისაღებად.

## მუხლი 32
## გასახლება

1)ხელშემკვრელი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს გააძევებენ მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის მოსაზრებებიდან გამომდინარე.
2)ასეთი ლტოლვილების გასახლება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებები სხვაგვარად მოითხოვს. ლტოლვილებს უფლება მიეცემათ თავის გასამართლებლად თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოადგინონ მტკიცებულებანი და გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილებები სათანადო ინსტანციებში ან სათანადო ინსტანციების მიერ საგანგებოდ დანიშნული პირის თუ პირების წინაშე.
3)ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთ ლტოლვილებს საკმარის ვადას მისცემენ სხვა ქვეყანაში შესვლის კანონიერი უფლების მისაღებად. ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებას იტოვებენ ამ ვადის განმავლობაში გამოიყენონ შიდა ხასიათის ისეთი ზომები, რომლებსაც აუცილებლად მიიჩნევენ.

## მუხლი 33
## გასახლების ან იძულებითი დაბრუნების აკრძალვა ("ნონ-რეფოულემენტ")

1)არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მრწამსის გამო.
2)ეს დებულება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

## მუხლი 34
## ნატურალიზაცია

ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად გააადვილებენ ლტოლვილთა ასიმილაციასა და ნატურალიზაციას. კერძოდ, ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა დააჩქარონ ნატურალიზაციის საქმის წარმოება და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლისა და ხარჯების შესაძლო შემცირება.

# თავი VI
# გარდამავალი დებულებები და აღსრულება

## მუხლი 35

## ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობა გაერთიანებულ ერებთან

1)ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოსთან, რომელსაც შეიძლება გადაეცეს მისი ფუნქციების შესრულება და, კერძოდ, ხელს შეუწყობენ ამ კონვენციის დებულებების გამოყენებაზე მის მიერ სამეთვალყურეო მოვალეობის შესრულებას.
2)იმისათვის, რომ უმაღლესი კომისრის სამსახურს ან გაერთიანებული ერების ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც მას ჩაენაცვლება, შესაძლებლობა მიეცეს წარუდგინოს მოხსენებები გაერთიანებული ერების სათანადო ორგანოებს, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ ამ უკანასკნელთ სათანადო ფორმით მიაწოდონ მათ მიერ გამოთხოვილი ცნობები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება:
a)ლტოლვილთა მდგომარეობას;
b)ამ კონვენციის ცხოვრებაში გატარებას და
c)კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ძალაშია ან შესაძლებელია შემდგომში შევიდეს ძალაში, ლტოლვილთა შესახებ.

## მუხლი 36
## ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესახებ

ხელშემკვრელი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს აცნობებენ ამ კონვენციის ცხოვრებაში გატარების მიზნით მათ მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესახებ.

## მუხლი 37
## ამ კონვენციის მიმართება ადრე დადებულ კონვენციებთან

ამ კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალაში დატოვებით ეს კონვენცია მასში მონაწილე მხარეებისათვის ცვლის 1922 წლის 5 ივლისის, 1924 წლის 31 მაისის, 1926 წლის 12 მაისის, 1928 წლის 30 ივნისისა და 1935 წლის 30 ივლისის შეთანხმებებს, 1933 წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 10 თებერვლის კონვენციებს, 1939 წლის 14 სექტემბრის ოქმსა და 1946 წლის 15 ოქტომბრის შეთანხმებას.

# თავი VII
# დასკვნითი დებულებები

## მუხლი 38
## დავების გადაწყვეტა

ამ კონვენციის მონაწილეთა შორის მისი განმარტების ან გამოყენების თაობაზე წამოჭრილი ყველა დავა, რომლებიც სხვაგვარად ვერ გადაწყდება, ნებისმიერი მოდავე მხარის მოთხოვნით გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

## მუხლი 39
## ხელმოწერა, რატიფიკაცია და შეერთება

1)ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ქ. ჟენევაში 1951 წლის 28 ივლისიდან და ამის შემდეგ დეპონირებული იქნება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან. იგი 1951 წლის 28 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ევროპულ განყოფილებაში და კვლავ გაიხსნება ხელმოსაწერად გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში 1951 წლის 17 სექტემბრიდან 1952 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2)ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ყველა წევრი-სახელმწიფოსათვის, აგრეთვე ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც მიიღო მოწვევა მონაწილეობდეს ლტოლვილთა და აპატრიდთა სტატუსის საკითხისათვის მიძღვნილ სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაში ან ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელსაც გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ხელმოწერას. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, ამასთან სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული იქნება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.
3)ეს კონვენცია ღიაა 1951 წლის 28 ივლისიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული სახელმწიფოების შემოსაერთებლად. შეერთება ძალაშია გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან შეერთების აქტის დეპონირებით.

## მუხლი 40
## მოქმედება სივრცეში

1)კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მოქმედება ვრცელდება მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებლობა მოცემულ ქვეყანას აკისრია. ასეთი განცხადება ძალაშია ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს.
2)ნებისმიერ მომდევნო მომენტში კონვენციის მოქმედების ამგვარი გავრცელება უნდა გამოცხადდეს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით და იგი ძალაში შევა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ, ამ შეტყობინების მიღებიდან 90-ე დღის შემდეგ ან ამ სახელმწიფოს მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს, თუ ეს უკანასკნელი თარიღი უფრო გვიანდელია.
3)იმ ტერიტორიის მიმართ რომელზეც ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების დროს ეს კონვენცია არ ვრცელდებოდა, ყოველი დაინტერესებული სახელმწიფო განიხილავს ასეთ ტერიტორიებზე ამ კონვენციის გამოყენების გასავრცელებლად საჭირო ზომების მიღების შესაძლებლობის საკითხს ასეთი ტერიტორიების ხელისუფლების თანხმობით, იქ სადაც ეს აუცილებელია კონსტიტუციური ხასიათის მიზეზების გამო.

## მუხლი 41
## ფედერალური სახელმწიფოები

ფედერალური ან არაუნიტარული სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება შემდეგი დებულებები:
a)ამ კონვენციის იმ მუხლების მიმართ რომლებიც ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო იურისდიქციას განეკუთვნება, ფედერალური ხელისუფლების ვალდებულებანი აღნიშნულ ფარგლებში ამ კონვენციის მხარე არაფედერალური სახელმწიფოების ვალდებულებებს უტოლდება;
b)ამ კონვენციის იმ მუხლების შესახებ რომლებიც ფედერაციის სუბიექტი იმ შტატების, პროვინციების ან კანტონების საკანონმდებლო იურისდიქციას განეკუთვნება, რომელთაც ფედერალური კონსტიტუციური წყობის თანახმად არ შეუძლიათ განახორციელონ საკანონმდებლო საქმიანობა, ფედერალური ხელისუფლება პირველი შესაძლებლობისთანავე აუწყებს შტატების, პროვინციებისა თუ კანტონების სათანადო ხელისუფალთ, თან დაურთავს რა მისეულ დადებით რეკომენდაციებს;
c)კონვენციის მხარე ფედერალური სახელმწიფო, ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნით, რომელიც მას გადაეცა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მეშვეობით,

წარმოადგენს ინფორმაციას ფედერაციასა და მის სუბიექტებში კონვენციის ნებისმიერი კონკრეტული დებულების მიმართ არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ იმის მითითებით თუ რამდენად ხორციელდება აღნიშნული დებულება  ცხოვრებაში საკანონმდებლო ან სხვა გზით.

## მუხლი 42
## დათქმები

1)ხელმოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის მუხლებზე გააკეთოს დათქმა, გარდა პირველი, მე-3  და მე-4 მუხლებისა, მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა, 33-ე, 36-ე – 46-ე მუხლებისა.
2)ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გააკეთა დათქმა,ნებისმიერ დროს შეუძლია უარი განაცხადოს ამ დათქმაზე, თუკი ამის შესახებ აცნობებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

## მუხლი 43
## ძალაში შესვლა

1)ეს კონვენცია ძალაში შევა მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირების ოთხმოცდამეათე დღეს.
2)ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება ან შეუერთდნენ მას მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირების შემდეგ, კონვენცია ძალაში შევა შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის დეპონირების ოთხმოცდამეათე დღეს.

## მუხლი 44
## დენონსაცია

1)ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.
2)ასეთი დენონსაცია შესაბამისი ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის ძალაში შევა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.
3)ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლებმაც მე-40 მუხლის საფუძველზე გააკეთა განცხადება ან გაგზავნა შეტყობინება,  გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის, ამის შემდგომ, გაგზავნილი შეტყობინების გზით ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რომ კონვენცია შესაბამის ტერიტორიაზე არ გავრცელდება გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

## მუხლი 45
## გადასინჯვა

1)ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოსფოს შეუძლია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით ნებისმიერ დროს მოითხოვს ამ კონვენციის გადასინჯვა.
2)გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა რეკომენდაციას გაუწევს სათანადო ღონისძიებებს თუკი ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით აუცილებელია მათი მიღება.

## მუხლი 46

## გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მიერ გაგზავნილი შეტყობინებები

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი აცნობებს გაერთიანებული ერების ყველა წევრს და 39-ე მუხლში მოხსენიებული არაწევრ სახელმწიფოებს:

a)პირველი მუხლის AB ნაწილის საფუძველზე შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებს;

b)39-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელმოწერებს, რატიფიკაციასა და შეერთებას;

c)მე-40 მუხლით გათვალისწინებულ განცხადებებსა და შეტყობინებებს;

d)42-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმებს და დათქმებზე უარის თქმას;

e)43-ე მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღის;

f)44-ე მუხლით გათვალისწინებულ დენონსაციასა და შეტყობინებებს;

g)45-ე მუხლის საფუძველზე შემოსულ მოთხოვნებს გადასინჯვაზე.

რისი რწმენითაც სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ხელმომწერებმა საკუთარი ხელისუფლების სახელით ხელი მოვაწერეთ ამ კონვენციას.

შესრულებულია ქ. ჟენევაში ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის ივლისის ოცდამერვე დღეს ერთ ეგზემპლარად, რომლის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია; ეს ეგზემპლარი დეპონირდება გაერთიანებული ერების არქივში და მისი დამოწმებული ასლები ეგზავნება გაერთიანებული ერების ყველა წევრ და 39-ე მუხლში მოხსენიებულ არაწევრ სახელმწიფოებს.